ერთად გადავარჩინოთ სოფელი

პაატა კოღუაშვილი
სტუ-ს სრული პროფესორი

სოფლის მეურნეობისადმი დიდი ყურადღება განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

- **სურსათით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა**. მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ სასურსათო უშიშროება სახელმწიფოს სტრატეგიულ გათვლაში ერთ-ერთ წამყვან ად-გილს დაიკავებს
- **მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს**
- **სასოფლო-სამეურნეოწარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურულად, სოფელი და ღონიერი გლეხკაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია**
- **განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა**.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების საჭიროება. ამიტომ ერთიან **სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკასთან ერთად დასავლეთში მოქმედებს სოფლის განვითარების პოლიტიკა**. სოფლის განვითარება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სოფლის მეურნეობის განვითარება. მისი **მიზანია სოფლის მოსახლეობის სოციალური სტატუსის გათანაბრება ქალაქის მოსახლეობასთან, რასაც სოფლად მოსახლეობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს**.

გლეხკაცს, ქართული მიწის მთავარ მეურვეს დღეს არ ულხინს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ **სოფელში არსებული უმძიმესი კრიზისული სიტუაცია**[1] **და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში მთავრობის მონაწილეობის პასიური ან ნეგატიური როლითაა განპირობებული**. ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება **პრინციპულად არასწორია,** იმიტომაც, რომ მიმდინარეობს:

– ქართული წარმოშობის კაპიტალზე **დამთრგუნველი ზეწოლა** და ამ ფონზე უცხოური **საეჭვო ინვესტიციებისთვის** ხელის შეწყობა;

– ხელისუფლებას **ღია ბაზარზე გააქვს** (რომელზეც დღეს არც ერთი კონკურენტუნარიანი საკუთარი მოქალაქე არ არის), თავისი მოსახლეობის ძირითადი **საარსებო ბაზა** – სასოფლო სამეურნეო **მიწა,** მაშასადამე, მთავრობა საქართველოს მომავალ თაობებს შეგნებულად ტოვებს დედამიწაზე, პრაქტიკულად, **საკუთარი მიწის გარეშე;**

– **მონოპოლისტური სტრუქტურებით გამოწვეული მაღალი ფასები,** მათ შორის, სურსათსა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე (პირველ ყოვლისა – საწვავზე, სასუქზე, პესტიციდზე); საკრედიტო რესურსების უმძაფრესი დეფიციტი, რაც იწვევს მათი ღირებულების იმდენად გაზრდას, რომ ის სრულიად **ხელმიუწვდომელი ხდება** არა მარტო სოფლის მეურნეობაში მოქმედი სუბიექტისთვის, არამედ ნებისმიერი მეწარმისათვის;

– გლეხსა და სამომხმარებლო ბაზარს შორის მტაცებლური სტრუქტურების: ლოგისტიკური ცენტრების, პირუტყვის სასაკლაოების და ა.შ. – ძალისმიერი ჩანერგვა, რომლებიც **დარგში შექმნილი საერთო შემოსავლის უდიდეს ნაწილს ითვისებენ;**

ცალკე დიდი ფაქტორია აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების **სტრატეგიული გეგმის, პოლიტიკის თუ ხედვის არქონა** და ამ საქმის პერმანენტულად მინდობა არაკვალიფიციური კადრებისთვის, რის გამოც, უბედურდება ათასობით გლეხი, სამშობლოდან გარბის ერის საუკეთესო ნაწილი.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის. ამასთან, ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. ეს ნიშნავს, რომ **სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია საკუთარი მოსახლეო-**

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით 2003-2009 წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ინდექსი 29 %-ით შემცირდა რაც მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის ერთ-ერთი ყველაზე უარესი მაჩვენებელია. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

ბის გამოკვება სამამულო აგროწარმოების პროდუქციით (საქართველოს 10–12 მლნ ადამიანის გამოკვების ბიორესურსი გააჩნია).

საქართველოს **აგრარული პოტენციალის ამოქმედება** უნდა გახდეს სასოფლო-სამეურნო პოლიტიკის ძირითადი მიზანი. ოპტიმალურად განსაზღვრული პრიორიტეტები, სწორად შემუშავებული და განხორციელებული აგრარული პოლიტიკა ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევისა და საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნის ერთგვარი გარანტია, რომელიც **უზრუნველყოფს აგრომეურნეებს საჭირო შემოსავლებით, ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული აღწარმოებისთვის საჭირო რესურსებით**. ამასთან, **გლეხებს უნდა მოეხსნათ ის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მელიორაციული და აგროტექზოოვეტმომსახურების, ბაზარზე ფასების ტენდეციების განსაზღვრის, კრედიტის ხელმისაწვდომობის, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის, გადასახადებისა და დაზღვევის**[1] **საკითხებთან**.

იმ კონკრეტულ ვითარებაში, როცა ქვეყანას არ გააჩნია საკმაო რაოდენობით ვალუტა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეფიციტის შესავსებად აუცილებელი ხდება სასურსათო დარგების დაჩქარებული ტემპებით განვითარება და ადგილობრივი წარმოების სურსათით მოსახლეობის უკეთ უზრუნველყოფა. ეს აქსიომის დონეზე აყვანილი დებულებაა და ამდენად, არ არის საკამათო. სადავო შეიძლება გახდეს მხოლოდ ამ დებულების განხორციელების გზები და საშუალებები, კერძოდ, რა ეკონომიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებებით მივაღწიოთ საკვები პროდუქტების ადგილობრივი რესურსებით წარმოების გადიდებას, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ოპტიმალურ თანაფარდობას, აგროწარმოების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, მთისა და მთისწინების მოსახლეობის ისტორიული ფუნქციის აღდგენის ინტერესების გათვალისწინებით.

სწორი სტრატეგიის შემუშავება მხოლოდ ყოველმხრივ გააზრებული აგრარული პოლიტიკის საფუძველზეა შესაძლებელი, რომლის ფორმირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრარულ სექტორში სახელმწიფოს ჩარევის დონის განსაზღვრას, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია სოფლის მეურნეობის მნიშვნელობით, ასევე მოცემული ქვეყნის აგროწარმოების თავისებურებებით, აგრარულ მეურნეობაში არსებული მდგომარეობით, მოსახლეობის მენტალიტეტით. **მთავრობის კომპეტენტურობა** და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე (მარეგულირებლის როლი) **გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ**.

კარგად დაბალენსებული სასოფლო-სამეურნეო სტრატეგია წარმოადგენს იმ საყრდენს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება არსებული სიძნელეების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რეალიზება სოფლის მეურნეობის სფეროში. სტრატეგიის სრულად განხორციელებას კარგად მოფიქრებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვის ბერკეტები ესაჭიროება (მხედველობაშია ფასწარმოქმნის პარიტეტული დარეგულირება, აგროპროდუქციისა და მისი აღწარმოებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე, სეზონური ფასების ფორმირება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და აგრარულ შრომაზე მოთხოვნის გადიდების სათანადო სტიმულების მოძებნა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ადეკვატური ფორმების წახალისება, განსასაზღვრია სოფლის მეურნეობის რომელი და როგორი მოდელი ესაჭიროება დღეს და სამომავლოდ საქართველო**ს** და ა.შ.). ამ პრობლემების მოხსნის მიზნით საუკეთესო იქნება **საქართველოს მთავრობამ შექმნას აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო,** რომელიც შეიმუშავებს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კონცეფციას, სოფლის განვითარების პოლიტიკას, **განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს**, კვლევების, ინოვაციური და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის **ხელშემწყობ** პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს.

თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი სოფლის მეურნეობის განვითარებას მხოლოდ თავისუფალი ბაზრის ამარა არ ტოვებს.[2] იგი აყალიბებს მკაფიო

[1] სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებაში არა მარტო ფინანსური მონაწილეობით, არამედ, საწყის ეტაპზე, დასაზღვევი პროდუქციის სახეობისა და რაოდენობის განსაზღვრაში. **ამ ტიპის დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს**.

[2] ყველაფერს რომ თავი დავანებოთ თავისუფალი ბაზარი საქართველოს სოფლის მეურნეობას ვერ დალაგებს თუნდაც მისი მრავავალდარგოვნობის გამო. რთული ვერტიკალური ზონალობისა და ნიადაგურ-კლიმატური მრავალფეროვნების გამო, საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის 11 ზონა და 3 ქვეზონაა გამოყოფილი. საქართველო არ არის ყაზახეთი ან თუდაც თურქმენეთი, სადაც სოფლის მეურნეობა რამდენიმე დარგითაა წარმოდგენილი, რომლებიც შესაძლოა დროთა განმავლობაში, საბაზრო მექანიზმების ზემოქმედებას დაექვემდებაროს. საქართველოს სინამდვილეში, აგრეთვე, გასათვალისწინებელია სოფლის მეურნეობაში მრავალწოვანი კულტურების მაღალი ხვედრითი წონა, რომლის რესტრუქტირიზება განვითარებულ ქვეყნებშიც კი მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენს მოსახლეობას არ გააჩნია საბაზრო გარემოში არათუ მთლიანი საწარმოო ჯაჭვის, არამედ

დარგობრივ პრიორიტეტებს და შემდეგ საზოგადოებრივი და კერძო სექტორის პარტნიორობის ფონზე ახორციელებს მის აღსრულებას. საქართველომ სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ამ სფეროს პრიორიტეტულობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი. **პირველი: სოფლის, როგორც ყოფის შენარჩუნება და მეორე: სასურსათო უშიშროების უზრუნველმყოფელი სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.**

სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების გარეშე (გზა, წყალი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, ბაგა-ბაღები, სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, დასაქმება და სხვ.) **ქართულ სოფელს დაცლა, ანუ მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია ემუქრება**. თუ დღეს მოქმედი უარყოფითი ტენდენციები შენარჩუნდა, მოკლე ხანში **აღარ გვექნება არა მარტო ფორმალური სოფლის მეურნეობა, არამედ თვით სოფელიც კი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია მთავრობის მიერ დეკლარირებული, იმედის მომცემი ტურიზმისა და კურორტების განვითარება. ამიტომაც, სასოფლო სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხკაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირება (მიწასთან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით თვითუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება.** [1]

ნებისმიერ ქვეყანაში სოფლად მოსახლეობის რეალური დასაქმებისა და შედარებით მოკლე დროში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონის მიღწევა **მხოლოდ სისტემური ცვლილებებითა და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი**. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი **ადამიანური რესურსების სამეწარმეო აქტივობის ამაღლებაა**. უნდა გვესმოდეს, რომ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების უძირითადესი პროდუქტია ჯანმრთელი, მაღალკვალიფიციური, სოციალურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი, იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქცია. ამ მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ შრომითი რესურსების სამეწარმეო გააქტიურება ყველაზე კარგად **სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარებითაა შესაძლებელი**. საყურადღებოა, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-მა, ისრაელმა და განვითარებული ეკონომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შორის ბალტიის ქვეყნებმაც). ეს პროცესი ყველგან **სახელმწიფოს აქტიური მაორიენტირებელი, მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით წარიმართა**. ანუ: ამ ქვეყნებში ფუნქციობდა ჭეშმარიტი აქტიური სახელმწიფოებრიობა და არა ატროფირებული. აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კოოპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით.

საქართველოს უდავოდ შეუძლია, კოოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაციაც და შემდგომი განვითარება. **სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას,** ავტომატურად მოსდევს **სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარება**. ესა ცნების **„ჯანსაღი საშუალო ფენა“** რეალური შინაარსი.

ჩვენი ქვეყნისთვის საწარმოო ურთიერთობათა ფორმის არჩევა დიდად მნიშვნელოვანია როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თვალსაზრისით. **საქართველო,** მისი ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან და არჩეული პოლიტიკური გეზიდან გამომდინარე, **უდავოდ იმსახურებს განვითარებული ქვეყნების რიგში ყოფნას** და მით უფრო სწრაფად შესძლებს ამას, რაც უფრო ინტენსიურად გატარდება დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები.

ამ რეფორმებიდან უმნიშვნელოვანესია **საქართველოს მრავალდარგოვანი აგრარული სექტორის რეფორმა,** რომელის უპირველესი ამოცანაა **დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გამსხვილება-გამასივება (კონსოლიდაცია), მიწის წვრილ მესაკუთრე-**

მისი ცალკეული პროცესის მართვის გამოცდილება. თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ადეკვატური ქმედებებისთვის საჭირო თვისებებისა და რესურსების (ადამიანური, ფინანსური, ინტელექტუალური, ტექნიკური და სხვა) უქონლობის გამო, აგრომეურნემ დაკარგა ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირების უნარი, რომლის უამრავი მაგალითი არსებობს და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, არ უნდა დაგვავიწყდეს სოფლის მეწარმის მენტალინტეტი, რომელიც უპირატესად სახელმწიფოზე იყო დამოკიდებული და რასაც ჩვენზე უკეთ უცხოელები ითვალისწინებენ, როცა ბიზნესის დაწყებამდე პრეზიდენტთან ან მთავრობის სხვა მაღალ ჩინოსნებთან შეხვედრას ცდილობენ.

[1] **გლეხკაცი** ძალიან ხშირად, უბრალოდ, აგროპროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ. მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტად, **გლეხკაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია.**

თა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათი გადამმუშავებელ საწარმოებთან სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა. შედეგად, კოოპერაციული ფორმების გამოყენებით, ადგილებზე მივიღებთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნას, სადაც გლეხკაცი (ფერმერი) დაინტერესებული იქნება ერთობლივი საქმიანობის ყველა საფეხურით, საწარმოო პროცესისა და მომარაგების ყველა დეტალით დაწყებული და საბოლოო პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგებით დამთავრებული, რადგან პრაქტიკულად, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი მისი შემოსავლების ზრდა და სოციალური პრობლემების მოგვარება (განსახორციელებელია **„თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა“, რომელიც მომზადებულია**).[1]ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ **სოფლად კოოპერაციული გაერთიანებების ჩამოყალიბება არის დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაჩენის ძირითადი გზა**.

იმისათვის, რომ თავისუფალმა ბაზარმა შექმნას ის, რასაც ზედმიწევნით კარგად ასრულებს – პროდუქციის სიუხვე – აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.[2] იგი პირველყოვლისა გამოიხატება **სპეციალიზებული აგროსაკრედიტო სისტემის (ურთიერთ დახმარების, სოლიდარული პასუხიმგებლობის, კოოპერაციული ტიპის) შექმნით,** რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს **მოსავლის დაზღვევის სისტემის შექმნას**. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს სასოფლო სამეურნეო ტექნიკის, ქიმიური საშუალებების, საწვავის და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება, უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კოოპერირების გამოყენება, მარკეტინგული დახმარება და, ასევე, ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და გამუდმებით მათი გადამზადების გარემოს ფორმირებას.

უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე ეტაპზე **ყველაზე დიდი დეფიციტი, რაც საქართველოში შეინიშნება, ცოდნის დეფიციტია**. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ წვრილ გლეხური მეურნეობების პირობებში სოფლად სწავლება – კონსულტირება, დანერგვის სისტემის ორგანიზება უპირატესად სახელმწიფოს ხელეწიფება და მისი მთლიანი კომერციალიზაცია დიდი შეცდომა იქნება.

საქართველოს კვლევით სისტემას ევროპულისგან (და, საერთოდ, მსოფლიოსგან) ორი გარემოება ანსხვავებს: ა)სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ მონაწილეობს კვლევის დაგეგმვაში, დაფინანსებაში და შედეგების გამოყენებაში. მას არ გააჩნია არც ერთი კვლევითი ორგანიზაცია. ევროპული სტანდარტების თანახმად ეს სრულყოფილი სამინისტრო არაა – სამინისტრო კვლევაზე უნდა იყოს დაფუძნებული; ბ) კვლევითი სისტემა არ შედგება იურიდიული პირებისგან.

აგრარული მეცნიერება მისი არსებობა-არარსებობის საკითხი საქართველოში ერთი უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული (აგრეთვე, უნივერსიტეტის კერძო მფლობელზე). ეს უკანასკნელი გარემოება მას შემდეგ წარმოიქმნა, როცა 2010 წლის ბოლოს კვლევით ორგანიზაციებს მთავრობამ ჩამოართვა იურიდიული პირის სტატუსი და განყოფილების უფლებით შეიყვანა სხვადასხვა უნივერსიტეტში. სასოფლო-სამეურნეო კვლევითი სისტემის ამგვარი ორგანიზება ქვეყნის მიმართ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ევროპული (და მსოფლიო) პრაქტიკა ასეთ ვითარებას არ იცნობს, რადგან მათი აზრით: **„სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა.“**

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად დემოკრატიული ქვეყმების მთავრობები რამდენიმე დებულებით ხელმძღვანელობენ:

- გარემოს დაცვა/შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის პოტენციალს შეიცავს
- კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებასა და ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს
- სოფლად ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტის, ენერგიითა და წყლით მომარაგება აუცილებელია სოფლად მოსახლეობის შესანარჩუნებლად და ტურიზმის გასავითარებლად

[1] იხილეთ პ. კოღუაშვილის შრომა „კოოპერაცია – სოფლად სამეწარმეო გააქტიურების ეფექტიანი გზა“, ცხუმ-აბხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 1, 2011.

[2] ბოლო წლებში სახელმწიფო რეგულირების მეთოდების გაძლიერება, მნიშვნელოვანწილად სოფლის მეურნეობის წინაშე გაჩენილი ახალი გამოწვევებითაა განპირობებული: სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) პროგნოზით მსოფლიოში სურსათის მწვავე დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც გამოიწვევს მოშიმშილე ადამიანების რიცხვის და საკვებზე ფასების ზრდას. დასახელებულ გამოწვევებს თავის მიზეზები აქვს, რასაც განვითარებული თუ ნაკლებ განვითარებული ქვეყნები მძლავრი პრევენციული ზომებით პასუხობენ. იაპონიამ სოფლის მეურნეობისადმი დახმარება დარგის მთლიანი შიდა პროდუქტის (მმპ) 78, ნორვეგიამ – 80, აშშ-მ – 25, ევროკავშირმა – 33 პროცენტამდე გაზარდეს, იაპონიამ სოფლის მეურნეობაში გაცემულ კრედიტებზე პროცენტი ნულამდე, ხოლო აშშ-მ 2,5 პროცენტამდე დაწია.

- ინფორმაციისა და განათლების ხელმისაწვდომობა და, ფართოდ, საინფორმაციო საზოგადოების განვითარება სოფლად, ქალაქთან გათანაბრების აუცილებელი პირობაა
- სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამუშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

ქართული მიწისა და სოფლის გადარჩენა ჯერ კიდევ შეგვიძლია:

1. **მიწას მივუდგეთ არა მხოლოდ როგორც პროდუქციის წყაროს, არამედ როგორც მოსახლეობის შემნახავსა და გამხარებელს;**
2. **ყველა საშუალებით (სახელმწიფოს ეს საშუალებები მუდამ აქვს) შევქმნათ იაფი აგროსაკრედიტო სისტემა, სოფელი უზრუნველვყოთ იაფი სასოფლო-სამეურნეო საწვავით და განვითარებული საჯარო მომსახურებით;**
3. **გზა გავუხსნათ ივჯარას (გრძელვადიანისა და გასხვისებადის ჩათვლით);**
4. **უზრუნველვყოთ რაციონალურ ფარგლებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვები;**
5. **უზრუნველვყოთ იმპორტული (როგორც წესი, ეკოლოგიურად უვარგისი) პროდუქტის რეალური კონტროლი უვნებლობაზე;**
6. **აღვკვეთოთ იმპორტზე დასპეციალებული მაფიური მონოპოლიზმი;**
7. **უზრუნველვყოთ იაფი მელიორაციული და აგროტექზოოვეტმომსახურება (რაც სახელმწიფოსათვის დაუძლეველი ამოცანა არ არის);**
8. **ყველანაირად ხელი შეეწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ადგილზე გადამმუშავებელი საწარმოების შექმნას;**
9. **დავადგინოთ და დავიცვათ სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო საქონელსა და მომსახერებაზე ფასების პარიტეტი;**
10. **შევქმნათ შელავათიანი საგადასახადო[1] და სადაზღვევო სისტემები სოფლის მეურნეობაში (რაც სახელმწიფოსთვის აგრეთვე სავსებით მისაწვდომია);**
11. **შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, თემის სამეწარმეო მობილიზაციის, საგირავნო და საგარანტიო ფონდები.**
12. **სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვა უცხოელებზე (მოქალაქეობის არ მქონე პირებზე) კონკურენტუნარიანი საქართველოს მოქალაქეობის გაჩენამდე უნდა უგამონაკლისოდ აღიკვეთოს (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიენებამდე);**
13. **აღვადგინოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრარულ მეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირი;**
14. **ავაღორძინოთ საქართველოს მთიანეთი, როგორც ჯანსაღი და ქვეყნისთვის მიუცილებელი სამეურნეო ზონა. შევუქმნათ მთისა და მთისწინეთის მოსახლეობას ყოველმხრივი განვითარების პირობები;**
15. **დავიბრუნოთ და ავითვისოთ როგორც ტრადიციული ისე ახალი ბაზრები;**

ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალ მილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც **დარგი არ არის მზად მსხვილმაშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის. იგი** გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სასოფლო სამეურნეო მიწის ფონდის კონსოლიდაციას (რადგან უკიდურესად დანაწევრებულ მიწაზე რაიმე პროგრესული ტექნოლიოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია) და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

ათმაგად ტყუილია, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3 პროცენტი მოსახლეობისა. სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩენად და გასახარებლად. დემოკრატიულ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც თავს ირჩენენ სოფლის მეურნეობით, როგორც წესი, ორჯერ და მეტად აღემატება იმათსას, ვინც უშუალოდ ხნავს, თესავს, სხლავს, თიბავს და ძროხას წველის.

აქვე გთავაზოფთ საქართველოს აგრარული პოლიტიკის სამოქმედო გეგმის ძირითად მონახაზს:

I. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაცია და პარცელარული მეურნეობის ნეგატიური შედეგების ლიკვიდაცია

ა) „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კონსოლიდაციის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტების

[1] 800 ათასი ჰა სახნავის დამუშავებას მაქსიმუმ 720 მლნ ლარი სჭირდება. ამ თანხის მცირე ნაწილიც (1/10) რომ გაიღოს სახელმწიფომ, სახნავის პრობლემაც გადაწყდება. მრავალწლოვანი ნარგაობის (ხეხილი, ვაზი, კაკლოვანი და სხვ.) განახლებისთვის ყოველწლიურად უნდა გაშენდეს 15-20 ათასი ჰა, რასაც 250-300 მლნ ლარი სჭირდება. აქ, სავსებით საკმარისი იქნება სახელმწიფოს კეთილი ნება და საგადასახადო ხელშეწყობის რეჟიმი. მაგალითად, ახალგაზრდა ნარგავები სრულ მსხმოიარობაში შესვლამდე 4 წლით უნდა განთავისუფლდეს მიწისა და წყლის გადასახადისგან; შემცირდეს ან გაუქმდეს დღგ-სა და აქციზის გადასახადი სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ დიზელის საწვავზე, განთავისუფლდეს აგროტექზოოვეტმომსახურება დღგ-ს გადასახადისგან. ასევე უნდა შემცირდეს მიწისა და წყლის გადასახადი 30% - 30%-ით და სხვ. კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებში შემცირდეს დღგ-ს გადასახადი არა ნაკლებ 10%-ით, ასევე, წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი.

შემუშავება და პარლამენტში წარდგენა დასამტკიცებლად;

ბ) მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, მარკეტინგული და სხვა საწარმოო-სამეურნეო მიმართულების კოოპერატივების ჩამოყალიბება, მათთვის სათანადო შეღავათების შეთავაზების გზით.

II. სოფლის მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება მარკეტინგული მოთხოვნების გათვალისწინებით;

ა) სარწყავი წყლის რესურსების აღრიცხვა და გამოყენების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება;

ბ) სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება;

გ) სათესლე და სანაშენე საწარმოთა რეაბილიტაციისთვის ხელშეწყობა;

დ) აგრონედლეულის გადამმუშავებელი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეების რეაბილიტაცია აგროსექტორის განვითარების შესაბამიად;

ე) სასაწყობო, სამაცივრო და სხვა საჭირო სიმძლავრეთა მშენებლობა პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისა და რეალიზაციის მიზნით;

ვ) განვითარებულ ქვეყნებში არსებული უახლესი მანქანათა სისტემების (მათ შორის სამთო მიწათმოქმედებებისთვის) გადმოტანის და ათვისების მიზნით სოფლად ტექმომსახურეობის თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება;

ზ) წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, საგზაო და სოციალური ინფრასტრუქტურის სხვა პრობლემების დარეგულირება.

III. სოფლად საქონელმწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამწარმეო უნარჩვევების გამომუშავების მიზნით ადგილზე საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ფორმირება; ფერმერთა გადამზადება საბაზრო ურთიერთობათა მოთხოვნების გათვალისწინებით

ა) საკონულტაციო-საინფორმაციო სამსახურის ქსელის შექმნა;

ბ) ფერმერთა გადამზადება სამეწარმეო უნარჩვევების გამომუშავებაის მიზნით;

გ) აგრონომიული, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და აგრობიზნესის პროფილის სტუდენტთა სტაჟირება საზღვარგარეთის მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებში.

დ) აგრარული მიმართულების სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების რეაბილიტაცია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და აგრომეცნიერებას შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა, ურთიერთ მისაღები პირობების შემუშავების საფუძველზე.

IV. სოფლად საქონელმწარმოებლებისთვის მიწათმქმედის სტატუსის მინიჭება და სათანადო რეგისტრაცია

ა) „მიწათმოქმედის სტატუსის მინიჭების და რეგისტრაციის შესახებ“ შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება და მთავრობაში დამტკიცება.

V. ეკონომიკური მაქანიზმის ორიენტირება აგროსასურსათო სექტორის სწრაფ განვითარებაზე, ფასების პარიტეტის დადგენა, ეფექტიანი საგადასახადო, აგროსაკრედიტო და სადაზღვეო სისტემების ფორმირება, იმპორტის ჩანაცვლებაზე და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების მაღალი ტემპით განვითარებისთვის

ა) **„აგრონედლეულისა და მისი აღწარმოებისათვის საჭირო საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების პარიტეტის დადგენისა და დაცვის შესახებ“** საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

ბ) სპეციალიზებული აგროსაკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვეო სისტემების შესახებ საქართველოს კანონის პროექტების შემუშავება და პარლამენტში დამტკიცება;

გ) **„აგროსექტორში გამოყენებული მანქანა–მოწყობილობების, აგრეთვე აგრარული პროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო სათესლე და სანაშენე საშუალებათა საბაჟო გადასახადისა და დღგ-გან გათავისუფლების შესახებ”** საქართველოს კანონის პროექტის მომზადება და პარლამენტში დამტკიცება.

VI. აგრარული ბაზრის დაცვა და ეკონომიკური რეგულირება განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ვაჭობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) მოთხოვნათა გათვალისწინებით

ა) ვმო-სგან მონიჭებული უფლებების – ანტიდემპინგური გადასახადის, სეზონური ფასების და ბაზრის დამცავი ღონისძიებების გამოყენებით (დემპინგური და სწრაფად მზარდი იმპორტის მიმართ რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ზარალის მიყენების რეალურ საფრთხეს) ბაზრის დაცვა არაკეთილსინდისიერი კონკურენტებისგან.

VII. სახელმწიფო დაკვეთების ინსტიტუტის რეალური ამოქმედება ძირითადი სახეობის სურსათზე და პროდუქციის შესყიდვა თანამედროვე ფორმებით.

ა) საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას და აგრარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს სრულ ჩართვას.

ბ) ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (მარცვალი, ხორცი, რძე, შაქარი, ზეთი) მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობისა და წონასწორული (სტაბილური) ფასების შენარჩუნების მიზნით, ბაზარზე ინტერვენციის და ჭარბი პროდუქციის ამოღების სახელმწიფო მარეგულირებელი (ნახევრად ადმინისტრაციული და ნახევრად კომერციული) სამსახურის შექმნა (ბაზარზე ჩამრევი სამსაურები. ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში).

საქართველოს წინაშე დღეს უკვე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ობიექტური აუცილებლობის ამოცანები, რეალურად მოითხოვს, როგორც **სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას** (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა. სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია შედარებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება, მეტად საჭირო და გარდაუვალი აუცილებლობაა.

ეროვნული ბაზრის დაცვის მიზნით, **საქართველომ უნდა გამოიყენოს ყველა ის ბერკეტი და მექანიზმი, რომელიც მას როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანას გააჩნია** (უპირველესად მხედველობაში მაქვს ე.წ. დამცავი ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება ისეთი სწრაფმზარდი იმპორტის მიმართ, რომელიც ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებელს ან ქმნის ასეთი ზარალის მიყენების საფრთხეს, სეზონური ფასები და სხვა).[1] ასევე, მთელი ყურადღება გადაიტანოს ადგილზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებაზე, **პროდუქციის ადამიანისთვის უვნებლობის სისტემურ შემოწმებასა და მიღებული შედეგების სისტემატურ გამოქვეყნებაზე**.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრობა საქართველოს აძლევს უფლებას სოფლის მეურნეობის დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. თუმცა იგი ამას თითქმის არ იყენებს. მაგალითად, ვმო-ს ე.წ. „მინიმუმის პროგრამით", საქართველოს შეეძლო 2010 წლისათვის მთელი სოფლის მეურნეობის მხარდაჭერად გამოეყენებინა 212 მლნ ლარი, გარდა ამისა, მემცენარეობისთვის – 93 მლნ ლარი და მეცხოველეობისთვის – 112 მლნ ლარი. სულ 417 მლნ ლარი,[2] რაც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქვეყნის აგრარული მეურნეობის აღორძინებას.

გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე მსოფლიოში **კონკურენცია მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს შორის, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელებსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძღოლის ფორმებს შორისაც,** რათა მიღწეულ იქნეს ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობა. **ის, რაც ოპტიმალურია ჩინელისთვის, ან ამერიკელისთვის, შეიძლება ჩვენთვის არ იყოს ოპტიმალური**. ჩვენ გვაქვს განსხვავებული ეროვნული სპეციფიკა, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებით წარმართავს ერის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს, მექანიზმები ადამიანთა ურთიერთობის რეგულირებისა ფსიქოლოგიური, ტრადიციისმიერი, ფასეულობათა სკალით განსაზღვრული, კულ-ტურული, მიწასთან დამოკიდებულებისა და სხვა. გაგვაჩნია განსხვავებული გეოპოლიტიკური გარემო, რესურსული პოტენციალი, ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული წარმოების წესი, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, კვების ხასიათი და ა.შ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, მოითხოვს აგროსასურსათო სექტორის რეფორმირებისა და განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომას, მის განხორციელებას ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით, და არა უცხოეთის რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ძალიან წარმატებულის) გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა-გამეორებას. აქვე ერთი ჩანაწერის შესახებ, რომელიც არ შეიძლება არ გაიზიარო: **„ნუ ჩათვლით, რომ საქართველოსთვის ავტომატურად სასურველია რაიმეს მიღება მხოლოდ იმის გამო, რომ ეს რაღაც მიღებულია ევროპის, ამერიკის, იაპონიის თუ განვითარებული მსოფლიოს სხვა ქვეყნებში"**.

თქმულიდან გამომდინარეობს, რომ

– საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უპირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის;

– ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ ერთადერთი სუბიექტი ვისაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუძს არის თვით სახელმწიფო;

– ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, ფუნქციონირების ურთულესი ტექნოლოგია, როგორც სასოფლო-

[1] იხილეთ პ. კოღუაშვილისადა გ. ზიბზიბაძის შრომა – ვმო-ს „რაუნდები" და საქართველოს სატარიფო პოლიტიკა. **„ბიზნესი და კანონმდებლობა," №6, 2010, 33-38** გვ.

[2] საქსტატის მონაცემები.

სამეურნეო წარმოების სრულყოფის საქმეში, ისე სოფლის მოსახლეობის სოციალური, ტექნიკური და კულტურული დონის სრულყოფის საქმეში.

დასასრულ, მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებული უნდა იქნას მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად. მხოლოდ ასე გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია, ხოლო გლეხკაცი – ქართული მიწის მთავარი მეურვე – დაუბრუნდება, ააყვავებს მას და არა მარტო ქვეყანას გამოკვებავს საკუთარი წარმოების პროდუქციით, არამედ სახელმწიფოს ძლიერებასაც საძირკველს ჩაუყრის.

ანოტაცია

ნაშრომში სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და მოსალოდნელი გლობალური გამოწვევების გათვალისწინებით მოცემულია სოფლის მეურნეობის განვითარების ახლებური ხედვა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირებას, პრიორიტეტების განსაზღვრას, მოსახლეობის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას, ცოდნისა და საკრედიტო რესურსების დეფიციტის აღმოფხვრას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზღვევისა და პროდუქციის შესყიდვის სისტემების ჩამოყალიბებას. ყურადღება გამახვილებულია ამხანაგობებისა და კოოპერატივების მიერ ინტეგრირებული სტრუქტურების ფორმირებაზე, საწარმოო მომსახურების ორგანიზაციების ჩემოყალიბებაზე, საბაზრო მექანიზმების გამოყენებით ფასების რეგულირებაზე, საგადასახადო სისტემის სრულყოფასა და პროდუქციის ექსპორტის წახალისებაზე. მძიმე სიტუაციიდან გამოსვლის პირველი რიგის ღონისძიებად მიჩნეულია ერთი სახის პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალიზებული ამხანაგობების (კოოპერატივების) შექმნა.

მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა აღიარებული უნდა იქნას მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანად და საერთო ეროვნული ზრუნვის საგნად. მხოლოდ ასე გადარჩება ქართული სოფელი, რომლის გარეშე საქართველოს განვითარების პერსპექტივა წარმოუდგენელია.

LET US SAVE THE VILLAGE TOGETHER

Paata Koguashvili
GTU full Professor

Based on agricultural characteristics and anticipated global challenges, the article presents innovative views on agricultural development that implies correction of rural economic policy, identification of priorities, supply of ideology to population, eradiation of shortage of knowledge and credit resources, development of systems for insurance of agricultural crops and procurement of products. The article outlines importance of creation of integrated cooperatives and societies, development of production service organizations, regulation of prices using market mechanisms, improvement of tax system and export stimulation.

The first step in overcoming the crisis is considered to be the creation of cooperatives specialized in production of one type of product that can be arranged with mutual endeavors of farmers, local self-governance bodies, eparchies and scientists.

The creation of highly productive rural economy must be recognized as the major task of government's economic policy and the subject of care of national welfare. This is the only way of saving Georgian village as the perspective of development of Georgia is impossible without its village.